

რეპუბლიკური მშენებელი



რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი შთაბრძობები.

რედაქცია ღიაა: დღის 9-12 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფინჩაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტრისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დღის 8-12 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ანა იგივე ანიჭა ისილორეს ასული შქერიე მხეიძისა აუწყებს ყველა ნაცნობებს და შეგობრებს რათა დაესწრონ მეორე წლის თავის წირვის და პანაშვიდს, სულის მოსახსენებლად გარდაცვალებულის მეუღლის თვისის

ნათურა გიორგის ძის მხეიძისას,

ქ. ლანჩხუთის წმინდა-გიორგის ეკლესიაზედ ამა ნოემბრის 9 რიცხვს ახალი სტილით, ჭველით 29 ოქტომბერს დღით კვირას. 12 საათზედ საღაც არის დასაფლავებული.

1-1.

თავზარდაცემულნი ჰირსიუფაღნი ვარლამ იასონის ძე ჩიქოვანი თავის მეუღლით და შვილებით, ივლიანე იასონის ძე ჩიქოვანი, ანესა ნადირაძისა, ელენა გონივესა, ალექსანდრე გონივეი და ნიკოლოზ ნადირაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უღრუოთ გარდაცვალებას

ვალერიან ვარლამის ძე ჩიქოვანისას

პირველის შვილისას, მეორის მისწულისა ხოლო დანარჩენების დისშვილისა და დეიდაშვილისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ვოსპიტლის ქუჩა, შინაღურავის სახლში. გამოსვენება პარასკევს 3 საათზე—საფინჩის სასაფლაოზე.

2-1.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლა თეო ილარიონის ასული მარკარაშვილისა შვილებით: ელენა, ანდრია და მარიამ გულითაღის მშუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 9 ნოემბერს საფინჩის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

გვგდლის ვლადიმერ მაჭარაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დღის 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.

1-1

მალაქის თეატრი.

სამშაბათს, 11 ნოემბერს გაიმართება

დიდი სალიბერატორო

საღამო

შინაარსი:

I. გრიგოლ აბლოძე: წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება.“

II. ვახილ წერეთელი: წაიკითხავს: ვიფხის ტყაოსანის იღვა და ფორმა.

III. ი. ვრიშაშვილი. სამსონ ყიფიანი. ია ეკალაძე. დია ჩიანელი. ვალერიან გაფრინდაშვილი. შალვა კარმელი. ალექ. გარსევანიშვილი. რაქლენ გვერამი. დ. თომაშვილი. ნიკ. ასათიანი. თ. ხუციკვაძე.

IV. **იუმორი.**

ვას. ბალანჩივაძე. ესტაფე ჩიბურდანიძე. ნემო—წაიკითხავს სცენებს ებრაელურ ცხოვრებიდან. დასასრულ მანი—მუი. (შე.)

საბექდაფი მანქანა

მსურს შევიძინო ქართული შრიფტის საბექდაფი მანქანა, თუ ვინმეს გასაყიდათ ექნება ვთხოვ მისამართი დატოვოს გოგინბერიძის წიგნის მაღაზიაში.

1-1

როდის გვიხსოვან?

ამ დღეებში შავმა რეაქციამ კინაღამ ბოლშევიკების დასამარების დღესასწაული გაიმართა. ზოგიერთი ხმებით პეტროგრადიც აღებული იყო და წითელ მოსკოვს დაეცემს უპირებდნენ. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, ბოლშევიკებმა იერიში მოიგერიეს, პეტროგრადის მიდამოებში ოღნავთ წინ წაიწიეს, ბულაკ-ბულოკოვჩის და თავად ლივენის ჯარები მიწასთან არიან გასწორებული.

ეს ყველაფერი ასე მოხდა და დენიკინი დროებით იმედ გაცრუებული დარჩა მონაქვის ტროსს დაახლოებოდა.

რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა სავსებით ხელს გვიწყობს ჩვენი აწეული დაწეული მდგომარეობა მოგაწესრიგოთ და ისეთი სავარაუდო პოლიტიკა ვაწარმოოთ, რომ ხალხთა ლიგაში ჩვენი დაგვიპოვნ ერთ-ერთი პატარა ერის კუთვნილი ადგილი. ამ მხრით დიდ იმედებს ვამყარებდით სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც ეს—ეს არი მიყურდა ისე, რომ საქართველო არც კი უხსენებიათ.

ამაში ერთის მხრით ბრალი მიუძღვის ჩვენ დღევანდელს რომელსაც სახელმწიფო მანდატთან ერთად სოციალისტური მანდატიც წაუღია და იმის მაგიერ, რომ გავლენიან პირებთან იქონიონ ჩვენ ჰირ ვარამზე მსჯელობა; სოციალისტურ კონგრესებზე ესწრებიან.

ასე ამ რიგათ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრა ისეთი სახელმწიფოებიდან, რომლებიც საქვეყნო პოლიტიკას აწარმოებენ მერის-მეტათ ვეინდება.

ამის მიზეზი შეიძლება სოციალისტური დღევანდელს და მანდატი. იქნებ ლოიდ/ჯორჯი და ალექსანდრე მანსო საქართველოდან ეროვნულ სახელმწიფოებრივ მანდატს ელოდეს და საქართველო ამაზე ხვასაც არ იღებს.

ცხადია ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც არ შეუძლია შექმნას ერთგვარი ფიზიკური მატერია, ეკონომიური ლიბერულიება, არც ინგლისი იცნობს და არც საფრანგეთი.

საქართველოში კავშირების უკველ გვარ უფლებებით აღჭურვის გამო, ეკონომიური შემოქმედება ისე შეფერხდა რომ ვერც ჩვენ სავალი-უტო საგანს, შავ ქვის გამოძრავება, მიუხედავად იმისა რომ მას ბაზარზე დიდი მოთხოვნილება აქვს, ვერც ნავთს ვიღებთ, თუმცა შრავალ და

გილას არის ნავთი. და ასე წარმოიღვინეთ რომ საპნის ქარხანამაც ვერ იარსება.

ფული ჩვენში ბევრი იბეჭდება (მაგრამ არავის არ ყოფნის, ვერცხლს და ოქროს ფუთობით პოულობენ დაგროვილს) მაგრამ ხაზინაში ვერცხლის ორ შაურინიც არ მოიპოვება.

ყველაფერი ეს რომ გაითვალისწინოს ჩვენმა სოციალისტებმა შინაური და საგარეო პოლიტიკის მაწარმოებლებმა და სწორეთ დიდი სახელმწიფოების და შეთანხმებით იმოქმედონ და ეკონომიური პოლიტიკაც სავსებით დეფიციტით მოთავსდნ რომ შევეცოც და ფართო ასპარეზი გაუხსნან კერძო ინიციატივას შავი ქვის და ნავთის დამუშავებაში, მაშინ უცხოელებიც იცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

თვით ქართველიც იცნობს თავის თავს.

და მერე ვეღარც შავი დენიკინი დაგვატლებს ვერაფერს.

და წითელი ლენინიც დამარცხებული დარჩება კავკასიის გაბოლშევიებაში.

ბიკ. აბესაძე

შპანასპალი სწოგაში

თალაათი ჰოლანდიში.

ოსმალური გაზ. „ფელამ“ ე იუწყება, რომ ატრინატების მოთავე და ყოფილი ოსმალური მმართველი თალაათ ფაშა ჰოლანდიას გაქცულა.

126,000 ოსმალთა ტყვე.

გაზ. „ფელამი“ იუწყება, რომ სახლვარ გარედ მყოფ ოსმალთა ტყვეების რიცხვი უდრის 120,000. სახელმწიფოებრივი კომისია შედგენილია ამ ტყვეების დაბრუნების, გამოკვების და სხვა საკითხების გასარჩევად. კომისია ამ საქმისთვის მთავრობას სთხოვს მილიონ კრედიტს.

აჯანუბებული და ენვერ-ფაშა.

სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ ვითომ ენვერ-ფაშას მიუწერიო მუსტაფა ქემალ-ფაშისთვის, რომ დახმარება გაუწიოს მას 180,000 ჯარით და ვითომ უარი მიეღოს, აგრეფე, ვითომ ხალილფაშა და ქუჩუქ თალაათ-ბეი ციხიდან გაქცეულან წასულან სივასში ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად.

„ეროვნული ორგანიზაცია“ იუწყება, რომ ენვერს და ვალილს კრ მიუმართავთ მისთვის, არც კავშირ-

ნიკოლოზის სიტყვა.

წინული, გულისხმიერი სიტყვა მსკოვანმა მოღვაწემ ნ. ნიკოლოზ დამფუძნებელი კრების 3 ოქტომბრის სხდომაზე.

სიტყვა: ვ. ჯუღელი, როგორც რადიკული ძალების უფროსი, უმწებელი კრების ტრიბუნიდან ქალაქო ომის ცეცხლს არ უნდა მდებს და ჯარი და გვარდია შიპოლიტიკაში არ უნდა ერეო.

ული კეშმარტება.

ბალხო გვარდია წარმოშვა ანარქისი მიზანი ანარქისტთან ბრძოლაში. ამით აიხსნება, პარლამენტ რომ მას საგანგებო უფლება აქვს. მაშინ ჯარი ბოლშევიკებდა თავირობა სარდლობას ექვის თვითუყურებდა.

უბეველია: მთავრობას რომ ერთა არმია შეედგინა, მათუმი დავეკარგებოდა და ოსმალეთ-

თან ბრძოლაში სირცხვილს არა ვსჯამდით.

მაშასადამე მეტი ღონე არ იყო, გვარდია უნდა შემდგარიყო; სხვაგვარად წესიერება არ დამყარდებოდა.

ცხადია კი, რომ გვარდიის საგანგებო უფლება—დროებითი უნდა ყოფილიყო.

დღეს უკვე ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მთავრობას ჰყავს კარგად მოწყობილი მილიცია და დისციპლინიანი ჯარი.

და გვარდიის საგანგებო უფლებას მნიშვნელობა აღარ აქვს.

წინააღმდეგი არა ვარ, რომ დარჩეს გვარდია, მაგრამ მისი შემადგენლობა, ორგანიზაცია და მიზანი სულ სხვა უნდა იყოს.

გვარდია უნდა შედგებოდეს ჯარში ნამსახურევი ელემენტებისაგან; გვარდია უნდა ჰქონდეს ჯამაგირი. გვარდია უნდა წარმოადგენდეს ჯარის სანიმუშოს, სამავალითა ნაწილს; გვარდიის შემადგენლო-

მა არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ მიმართულებაზე; გვარდია არ უნდა ეროვნულ შინაურ პოლიტიკაში; გვარდია უნდა ემორჩილებოდეს სამხედრო მინისტრსა და მთავარსარდალს.

სამხედრო ძალის ერთს ნაწილს არ უნდა ჰქონდეს საგანგებო უფლება და არ უნდა ეროვნულ შინაურ პოლიტიკაში.

ამის აუცილებლობას ისტორია მოწმობს. მაშ გვარდიის ამგვარად მოწყობაზეა დამოკიდებული, იქნება თუ არა საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა.

არ შემიძლია პასუხი არ გავსე აგრეთვე ვ. ჯუღელის ერთს განცხადებას: მართვა-გამგეობას თქვენ არ გადმოგკეფთო, მიმართა ეროვნულ-დემოკრატიებს.

ეს—შეუწყნარებელი მიმართვაა მართვა-გამგეობა არცერთი პარტიის საკუთრება არ არის და მაშასადამე მისი გარდაცემ-გადმოცემა და გა-

ცვლა-გამოცვლა პარტიული საქმე არ არის.

მართვა-გამგეობის გადამცემი და მიმნიჭებელი უფალი—ხალხია.

და, თუ ხალხმა ინება, რომ მართვა-გამგეობა ეროვნული დემოკრატიის ხელში იქნეს, გვარდიაც და ჯარიც ხალხის ნებას ხმის ამოუღებლად უნდა დაემორჩილოს.

მეორე მხრით, ეროვნული დემოკრატია მართვა-გამგეობას, როგორც მოწყალეებს, სოციალდემოკრატიის ხელიდან არ მიიღებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამგვარ უფლებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა და, მეორე, არც სოციალდემოკრატია აიღებდა ხელს თავისი ნებთ ბატონობაზე.

ამიტომ—არის შეუწყნარებელი ვ. ჯუღელის ხსენებული მიმართვა.

ნესტარი.

დღისკრი.

ბოლშევიკები პეტროგრადის ასპარეზზე გადაწყვეტ შეტევას აწარმოებენ.

ბოლშევიკებმა რომა და გატინო აიღეს. ციმბირში კოლჩაკის ჯარი იშლინ მიმართულებით უკან იხევს. ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის ლაშქარი კრასნოე სელოს მიუახლოვდა.

ესტონიის ლაშქარმა შარკაუზენი დაიჭირა. რეინზე ელზას-ლორენის 8360 მცხოვრებმა მიიღო პრძანება. ექვს კვირაში დასტავონ თავი სამშობლო.

პანაზე ჯანმრთელ ობის მდგომარეობა გაუარესდა.

ბა ეროვნ. დემოკ. პარტიის ახალ-გახარდათა კომიტეტის კრება. კრებაზე განაწილებული იქნება ახლად არჩეული წევრებს შორის თანამდებობანი.

საბჭოს სხდომა. დღეს ხუთ-შაბათს 6 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დაინიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- 1) ერთდროული სანიტარული გადასახადების მოქალაქეებზე გაწერა.
- 2) სანიტარული წესების დასაცვლათ ზომების გამოუმუშავება და საქირია ხარჯთ აღრიცხვა ამ ზომების ცხოვრებაში გასატარებლათ.
- 3) ვიფების შესახებ კრედიტი.
- 4) დღიურის გადასახევა და
- 5) შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა და ამავდ ბირჟის გაშვების და მდივანის დამტკიცება.

საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა. საქართველოს ქალაქთა კავშირმა მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა სონსა და ქუთაისს შორის.

კოლმეურთაული სასაღილოს გაფართოება. ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოება „კოლმეურთაული“ გამჯგობამ დააღვინა ბინა კოლმეურთაული სასაღილოს იქნეს გაფართოებული. გაშვილება უკვე შეუღვა წინასწარ სამზადისის სასაღილოს ბინის გასაფართოებლათ.

ქრევენალი კაპიტალი.

(იხილეთ „ჩვენი ქვეყანა“ 190 № ბ. დ. თოფურბის წერილის გამო იხ. ბარბა 29 №)

ის. სამი მილიონი ახალი ვალი, რომელსაც საქართველო აიღებს ევროპელებისაგან ბ. დ. თოფურბის მოხსენებით არაა საკარისი, არამედ პროექტი გულისხმობს აიღოს დამატებითი სესხი იმ საკრედიტო დაწესებულებებიდან, რომლებიც ევროპელებს ექნებათ ჩვენში გახსნილი. ამ რიგად, სესხი იქნება ორი ფრონტიდან; ერთი ჩვენი მთავრობის მიერ ოფიციალურად აღებული და მეორე ადგილობრივ უცხოელების საკრედიტო დაწესებულებებიდან.

თუ ბ. დ. თოფურბი და რწმუნებულია, რომ სახელმწიფოს ეყოფა სწორ ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკის მოსაწყობად სამი მილიონი მანეთი, მაშინ ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივ უცხოელების საკრედიტო დაწესებულებებიდან აღებული კრედიტები და თუ არა, იმ შემთხვევაში ბ. დ. თოფურბის, თუ არ ვცდებთ წოდებითა, რომ საქართველო იქნეს ეკონომიურად და ფინანსიურად დამოკიდებული, მონაც და მორჩილიც ვეროპის.

თუ ასე იქნა, იმ შემთხვევაში ქართველი ერთ არასდროს - თავისუფალი არ იქნება. ამის საგალითები

მრავალია. რა ჰქნა ან როგორ ეპყრობოდა ვერმანია—ომალეთს? ინგლისი და რუსეთი—სპარსეთს აი ჩვენთვის საკარისია ეს ორი მაკალითი, რომ სიფრთხილით მოვეპყროთ ჩვენს ნაბიჯებს. როდესაც უცხოელების ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებები მოგვეცემენ სესხს და დაგვეტოვონ ვალით. ისინი უზრუნველ ყოფილი არ იქნებიან ჩვენი მრეწველობით? ვალის ასანახად უნდათ სწინდარად არაფერს მოგვთხოვენ? აი სწორედ აქ მოგვალის ორნარი საფრთხედ იქნება ვალის სახით უცხოელებს; ერთი ვალის სახით უცხოელებს მოკლული და მეორე, ადგილობრივი აქციონერ კომპანიებს და ბანკებს სესხები. სულ ადვილი შესადლებელია, რომ საქართველოს მრეწველობის დაწესება და განვითარება უცხოელებს ხელში ჩაგარდეს ამ თავიდანვე, რაც საქართველოს ეკონომიურად გააკორტებს და სხვა სახელმწიფოს დაუქვევდება, რაც არა საკრედიტო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მომავალ ვაჭრობა-მრეწველობას განვითარებისათვის და ალორპინებისათვის. შემდეგ ბ. დ. თოფურბი გვიჩვენებს სესხის აღებას ინგლისის ან და ამერიკის სახელმწიფოებიდან. კარგი და პატიოსანი თუ ვითხოვთ სესხი, დიდის სიამოვნებით მივიღებთ, იმიტომ რომ ვალის გამ. დებულებები იქნება ჩვენი აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე. განა ასეთ დიდ სახელმწიფოსაგან როგორც არის ინგლის-ამერიკა ჩვენ თავს დავაღწევთ? მე გგონია არა, იმიტომ რომ, ინგლისის და ამერიკის ფინანსიური სისტემა ისეთ საფეხურზე სდგას, რომ ჩვენ მათგან შედამ მოტყუებული ვიქნებით, ვინაიდან ინგლის-ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება პროტექციონიზმით არის მოკლული, რომელიც ანვითარებს და აგვარებს როგორც შინაურ ისე საგარეო ვაჭრულ პოლიტიკას. ვინც ცრტა ოდნათ ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის საგარეო პოლიტიკას იცნობს, ის ადვილათ მიხვდება თუ რისთვისაა, რომ ინგლისს ხავეჭრო საგარეო ბალანსი მუდამ მომგებიანი აქვს, რაც ახალ სიმდიდრეს და ახალ ღირებულებას ჰქმნის სახელმწიფოში. ასე რომ, ინგლისი ზემოხსენებულ პოლიტიკის მატარებელი ყოფილი და იქნება, და რასა საქართველო რომ, ასეთი პოლიტიკა-საქართველოს დაზიანებს და ეკონომიურად შებოკავს. წარმოვიდგინოთ რომ გვზი ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა არ შეიცვალა. მაშინ სესხი აუცილებელი იქნება, ვინაიდან ყოველივე და ყველაფერი სესხებზე ტრიალებს: თუ სესხი გადაწყდა, ის უნდა ვეძიოთ თანაბარ სახელმწიფოებში, ვინაიდან მათთან ყოველნაირათ დაკავშირებული ვიქნებით და ისინი ჩვენით დაინტერესებულნი იქნებიან. ასე რომ, უკიდურეს შემთხვევაში სესხი უნდა ვეძიოთ ჩვენსავით პატარა სახელმწიფოებში, სადაც ჩვენს სიტყვას და ვაჭრობა-მრეწველების პოლიტიკის წარმოებას და ურთერთ შორის კავება განწყობილების დამკვიდრებას თვით ჩვენ ვაწარმოებთ, რაც დადებითი ნაყოფს გამოიღებს მომავალში. ყოველივე უკიდურესობაზე, კომპრომისსზე წავიდეთ ვისთანაც არ უნდა იქნეს ეს, მხოლოდ სესხებს ვერიდოთ თუ გვინდა საქართველოს მომავალში ბედნიერება

და ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობის დაზარება. ერის ხსნა და ბედნიერება ეროვნულ კაბიტალის განვითარებაშია და არა სესხებში, როგორც ამას ბ. დ. თოფურბი გვიჩვენებს.

ნიკ. ახვლედიანი.

საქართველოს და სომხეთის ხელშეკრულება.

საქართველოს და სომხეთის შორის დაიდო შემდეგი ხელშეკრულება:

I. ქალაქი ტფილისი. 1919 წლის ნოემბრის 3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა—შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის ნაგ ბესარიონის ძე რამიშვილის და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენის ძე მდივანის სახით—ერთი მხრით და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა—სტეფანე გრიგორის ძე მამიკონიანის და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის სახით—მეორე მხრით, გაეცნენ რა რწმუნებებს და პპოვეს რა იგი სათანადო ფორმასა და სახეში, დასდეს ეს ხელშეკრულება შესახებ ქვემოთ ხსენებულისა:

1) ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები (საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკები) ვალდებული იქნებიან სდებენ ყველა არსებული და აგრეთვე მომავალში მათ შორის აღმოცენებული დავა, გადაწყვეტილი იქნეს შეთანხმების გზით, ხოლო, თუ უკანასკნელი ვერ იქნა მიღწეული, მაშინ—არბიტრაჟის საშუალებით.

2) ამა ხელშეკრულების დადასტურება უნდა მოხდეს 2 კვირის განმავლობაში ქ. ტფილისში.

II. ქ. ტფილისი. 1919 წლის ნოემბრის 3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა—შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრის, ნაგ ბესარიონის ძე რამიშვილის და საქ. რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის, სიმონ გურგენის ძე მდივანის სახით ერთი მხრით და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა—სტეფანე გრიგორის ძე მამიკონიანის და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის სახით მეორე მხრით, გაეცნენ რა რწმუნებებს და პპოვეს რა იგი სათანადო ფორმასა და სახეში, სდებენ ამა ხელშეკრულებას შესახებ ქვემო ხსენებულისა:

1) დაწესდეს თავისუფალი ტრანზიტის უფლება. უზაფო ტრანზიტის სომხეთის რკინის გზებზე სომხეთის საზღვრებს იქიდან საქართველოში ან საქართველოდან სომხეთში მიმავალ საქონლისა და აგრეთვე საქართველოს რკინის გზებზე საქართველოდან სომხეთში, ან სომხეთიდან საქართველოში მიმავალ საქონლისა.

2) ხელშეკრულება ეს დაიდვის 3 წლის ვადით, და ამასთანავე, დიდ დანდასტურებისა ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შემკრულთ თითოეულ მხარეს უფლება ენიჭება განაცხადოს სურვილი ხელშეკრულების გადასინჯისა და ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში რჩება 6 თვის განმავლობაში დიდ დანდასტურებისა. თუ ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულების გა-

დასინჯვის შესახებ შეთანხმებას ვერ მიიღწიონ, მაშინ ხელშეკრულება ძალისაგან გავეს.

3) ამ ხელშეკრულების დადასტურება უნდა მოხდეს 2 კვირის განმავლობაში ქ. ტფილისში (გარ. საქმ. სამინისტროსაგან).

გერმანული პრესა.

(საქ. დეპ. სააგენტო)

პაპსტურში სოც. დემოკრატ. პარტია ფიქრობს იდღესასწაულოს 22 ნოემბერს რევოლიუციის წლის თავი. მიუხედავად კორპუსის უფროსმა, რომელიც წინა დღეებში ნებას არ იძლეოდა, ცხლა დათანხმდა მოწყობის შედეგად, მაგრამ უნდა დაიშალოს. აუცილებლად პოლიციის მიერ დანიშნულ საათზე. ქუჩებში დემონსტრაციები აკრძალულია.

ფინეთიდან მოსული ცნობით, ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის არმიის კრასნოსელს რამდენიმე მიუახლოვდა. ესტონიის არმია შარკაუზენი დაიჭირა.

ფინეთში ინგლისის სამხედრო მისიის თავმჯდომარე გენერალი მარჩი ბრიტანის საზღვაო უფროსთან ერთად საზოგადო კონფერენციაზე გამგზავრა და თავის სამსახურს ალარ დაუბრუნდა. ბრიტანის მისიის ახალი უფროსი გენერალი ტორნერი და ემორჩილება საფრანგეთის გენერალ მემელიუსს, რომელიც ფინეთში მოკავშირეთა მისიის მეთაურად დაინიშნა. ინგლისსა და საფრანგეთის შორის უთანხმოება ბალტიის საკითხის შესახებ უკვე აღარ არის, და უნდა მოველოდეთ მოკავშირეების რუსეთისთვის სასარგებლო პოლიტიკისკენ გახარას.

კონტრ-რევოლიუციონერ გაზეთ „რუს“-ის ცნობით, ბათოში ინგლისის საზღვაო ოფიციალურად განაცხადა, რომ ინგლისის ჯარი ოლქს არას დროს არ დასტოვებს.

უხსოვითი აგვანი უხრანალ-გაზათაზიდან.

ვილსონის აგიტაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი ვაშინგტონში იმდენივე ქვეყნებში გამგზავრა სააგიტაციოთ „ხალხთა ლიგის“ იდეის გასავრცელებლად. ვილსონთან ერთად წავიდენ უკიდურესი ოპოზიციის ლიდერები სენატორი შორა და ჯონსანი რომელიც უზაუსხებენ ვილსონსა და მოითხოვენ ხალხთა ლიგის სტატუსის გადადგმას. ოპოზიციის შეტევა პრეზიდენტ ვილსონს აწვენოს თავისი დამლუპველი პოლიტიკა და დაუმატოს, რომ მან გადაუხვია, გიორგ ვაშინგტონის გზას. უკანასკნელი, ყოველთვის წინააღმდეგი იყო ევროპასთან კავშირისა.

სპარსეთი

სპარსეთი და მოკავშირენი.

სპარსეთის შაჰი უკანასკნელი ხანებში პოლიტიკურ ხასიათის მარშრუტებს აკეთებს ევროპაში. შაჰს განზრახვა აქვს ინახლოს პუანკარე-შაჰის მხლებელ საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვათ, შაჰი და სპარსეთის მთავრობა ყოველთვის ანტანტის მხარეზე იყო. მინისტრი ფიქრობს შუამდგომლობა აღძრას სამშვიდობო კონფერენციაზე შაჰის დასაშვებათ. საფრანგეთის მთავრობას სთხოვს, გაიგზავნოს სპარსეთში ევროპელი პროფესორები და მასწავლებლები.

აზერბაიჯანი

ინგლ. უკრ. სემენოვი

გეგმული

ინგლისური სამხედრო საგალო კომისია, რომელიც მიემგზავრება ლენინობისთვის კომისია ბაქოდან ენ ხელში ვრა.

რუსული მისია.

გენ. დენიკინის წარმომადგენელი მოკავშირეთა სარდალთან გადარქმეულია „რუსული მისიის რაზმის“.

აზერბაიჯანის დამოუკიდებ.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციის წევრი განჯინსკი, რომელიც ბაქოში იმყოფება, გამოსთქვა მსჯელობა, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის იცნობს, განჯინსკი შორის აღნიშნა, საფრანგული პოლიტიკურ წრეებში დიდ ცვლილებას იტყობს, რუსეთის ტერიტორიაზე აღმართული რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ეს ლემა პატარა რესპუბლიკების რგებლად სდგება და რუსეთის დედატიულ ერთეულად შეიღება თანდათან ვრცელდება.

ბიუჯეტი

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფოს 1919 წლის ბიუჯეტის უკვე შეადგინა, შემოსავალი მთლიანად უდრის, გასავალი მთლიანად ნახევარ მანეთს. ამრიგად აზერბაიჯანის ბიუჯეტის დეფიციტი უდრის ნახევარ მილიარდ მანეთს.

აზერბაიჯანი და მოხალისე.

მოხალისეთა და აზერბაიჯანის რის დამოკიდებულება უკანასკნელში გამოწვევა, განსაკუთრებით კასპის ფლოტის გამო, რომ მოხალისეები პრეტენზიას აცხადებენ ბარათთვის მოადგოლეს აზერბაიჯანსა და საქართველოში მოხალისეობით დახლოდნენ ინსტრუქციას ვენ.

ახალი კაბინეტი

პრემიერ მინისტრმა უსუბგ უკვე შეადგინა მთავრობა. უსუბგ კოვი დაჩეგა მინისტრთა სემეორთველო თავმჯდომარედ.

ბაქოში მიღებული ცნობებით მოხალისეებმა შეიპყრეს აზერბაიჯანის დასული დელეგაცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ასე ხანში მყოფ ტყვე და ლტოლნი მუსულმანების ჩამოყვანა. დელეგაციის დატყვევების მიზეზად ასახებენ იმას, რომ დელეგაციის მანხვს ცნობილი ბოლშევიკი, რომელსაც მოხალისეები ეძებდნენ.

ხარჯი დელეგაციისათვის.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფ აზერბაიჯანის დელეგაციის შენახვა თვითრად ჯდება მილიონ მანეთი აზერბაიჯანის მთლიანად.

მ. განჯინსკი

უსუბგოვის ახალ სამინისტრო განჯინსკი მიიღებს ან ფინანსთა მინისტრის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პორტფელს.

დავებარე

პასპორტი მიღებული დიმიის საზოგადოებრივი 1916 წელს და პირად მოწმობა მიღებული რკინის გზის კონტრტორთა განყოფილებიდან ყოველივე საბუთებს დღეის რიცხვით და გაუქმებულთ ვაცხადებ. პირადი ანდრის ძე ბებიაშვილი.